მარცვალთა დაყოფა როგორც მეტყველებამცოდნეობის პრობლემა

შელია მადონა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.14

აბსტრაქტი. *სიტყვიერი მახვილის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მარცვლები მიუხედავად იმისა, თავდაპირველად ძლიერები არიან თუ სუსტები, ატარებენ თუ არა მთავარ სიტყვიერ მახვილს, შეიძლება ფუნქციონირებდნენ კონტრასტულად და გადმოსცემდნენ ისეთ შინაარსს, რომლის გადმოცემა სხვა საშუალებებით შეუძლებელია. ამგვარად, თითოეულ მოსაუბრეს, თუკი მას საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს მარცვლის ბუნების შესახებ, შეუძლია გამოყოს ნებისმიერი მარცვალი სიტყვის ან სიტყვათა შეთანხმების შემადგენლობაში, ძირითადი მარცვლისეული პარამეტრების თავისუფლად ვარირების გზით. ამგვარი კონტრასტები წარმოადგენენ პიროვნებათაშორისი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს.*

არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ასევე ინტელექტური ურთიერთობის სხვადასხვა სახეობებში ფონესტემური და მორფოლოგიური გამეორებები სიტყვის შემადგენლობაში ნათლად აღიქმება პირველ რიგში შესაბამისი მარცვლების გამოყოფის გზით. ეს მარცვლები წარმოადგენენ სიტყვიერი ურთიერთობის ისეთ აბსოლუტურ რეალობას, რომ შესაძლებელი ხდება თავი ავარიდოთ ფონესტემათა ენობრივ მნიშვნელობას და მორფოლოგიური დაყოფის რაიმე წესებს და „ვითამაშოთ“ სემანტიკურად შეუთავსებელი და დაუშლელი ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვებით. ენაში ამ წესების არსი დაიყვანება ერთ ყველაზე არსებით მომენტამდე, კერძოდ კი თანხმოვნების წინა ხმოვანთან მიერთების ძლიერ ტიპამდე, ანუ მარცვალთა დახურულობამდე.

ცხადია, რომ ამგვარი ახსნის საფუძველს წარმოადგენს ჩვენი სწრაფვა მარცვალთა დაყოფის ინგლისური ენის სისტემის უფრო წარმატებულ და პროდუქტიულ სწავლებისაკენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია უპირატესი ტენდენციის გამოვლენა, ყურადღების კონცენტრირება ინგლისური წარმოთქმის ყველაზე არსებით მომენტებზე. ამიტომ საკითხს მარცვალთა დაყოფის ზუსტი ადგილის დადგენის შესახებ ჩვენთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: *მარცვალი, მახვილი, მეტყველება, რიტმი, ტონი, წარმოთქმა*

საკითხი მეტყველების კულტურის შესახებ, რომელიც უფრო ზოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც „ადამიანის უნარი ფლობდეს და სარგებლობდეს მოცემული ენის ნორმებით“ ენათმეცნიერთა უკვე არაერთ თაობას აინტერესებს. ჩვენს ლინგვისტურ ყოველდღიურობაში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდებიან მეტყველებამცოდნეობისა და ნეომაკროფონეტიკის, ენობრივი არსებობისა და

სამეტყველო ქცევის ცნებები. მათ საერთო მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ენის როგორც ადამიანთა ურთიერთობისა და როგორც სამეტყველო სინამდვილის ფაქტების ერთობლიობის შესწავლის საშუალებისა მათ უწყვეთ მოძრაობასა და ცვალებადობაში, რაც სრულად განაპირობებს და განსაზღვრავს მეტყველების ოპტიმიზაციის პროცესს.

პირველ პლანზე გამოდიან ენის პრაქტიკული ფლობის საკითხები, რომლებიც განპირობებული არიან ადამიანის მხრივ კომუნიკაციის საჭიროების მოთხოვნით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „სამეტყველო მოქმედებების“ გაცვლა - გამოცვლის კულტურა, რის გამოც თვითონ ტერმინი „ენობრივი არსებობა“ ხშირად განიხილება უფრო ფართოდ როგორც ხალხის ენობრივი კულტურა მთლიანობაში.

რამდენადაც სწავლება მარცვლისა და მარცვალთა დაყოფის შესახებ წარმოადგენს ენათმეცნიერების საკმაოდ განვითარებულ და დამუშავებულ ნაწილს, ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ყოველგვარი ნაშრომების გამოყენებისას აუცილებელია არა მარტო გავაცალკევოთ ყველა არსებული თეორია, არამედ გამოვავლინოთ მათგან ისეთები, რომლებიც პასუხობენ ცოცხალი ადამიანური ურთიერთობების ამოცანებს. ამოვიღოთ მათგან „პრაგმატულად სასარგებლო ინფორმაციის“ მაქსიმუმი, ანუ ის, რაც წარმოადგენს საკუთრივ მარცვალთა დაყოფის ინგლისურ სპეციფიკას და ეხმარება მის გამოყენებას სწავლების პროცესში.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს „ადამიანის ფაქტორს“, რასაც ადამიანები რეალურად ისმენენ და აღიქვამენ ურთიერთობის პროცესში იმას, და შესაბამისად, რაც შეიძლება ისწავლონ (და ასწავლონ სხვებსაც), შეგნებულად ბაძავენ რა შერჩეულ ნიმუშს - მიზანს - (target), ანუ ინგლისური ენის იმ სახესხვაობას, რომელიც შეესაბამება მაღალგანვითარებული ფილოლოგის წარმოდგენებს ინტელექტიური ურთიერთობის როგორც ყველა მისი პროფესიული მისწრაფებების საფუძველს. ამ აზრით ეჭვს არ იწვევს ხმის სიმაღლის, ინტენსიურობის და კუნთების დაძაბვის განმსაზღვრელი როლი მარცვალთა დამატებით გამოყოფაში.

პიროვნებათშორისი ურთიერთობის პროცესში, როდესაც მარცვლების დამატებით გამოყოფა ემსახურება სხვადასხვა კომუნიკაციური ინტენციების გადმოცემას, განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ის, რასაც საკითხის ლიტერატურაში იძენს ხატოვან დასახელებას - „დონეების აღრევა“. მხედველობაშია ისეთი თანაფარდობა მარცვალსა და სხვა ენობრივ ერთეულებს შორის, რომელიც არაფრით არ თავსდება ენისა და მეტყველების ტრადიციული დიქოტომიის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ მარცვლის დაყოფის სწავლება მჭიდროდ უკავშირდება ნიმუში-მიზნის შერჩევას. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ, როგორ და, რაც მთავარია, რისთვის გამოყოფს მარცვლებს მეტყველების ნაკადში. ამ დროს პირველ ადგილზე გამოდის თვით სწავლების მომენტი, მასალის დამოუკიდებლად (შემოქმედებიდათ) დამუშავების უნარი საკვლევი საგნის შესახებ უკვე შეძენილი სპეციალური ცოდნის საფუძველზე (cognitive processing).

ნათქვამიდან გამიმდინარე ჩვენ პირველყოვლისა აუცილებლად მიგვაჩნია მკაფიოდ განვსაზღვროთ წარმოთქმის ის ტიპი, რომლის დაუფლებასაც უნდა ვესწრაფოდეთ. ასეთია თანამედროვე წარმოთქმა როგორც არის ის წარმოდგენილი ჩვენი დროის განსაკუთრებით ავტორიტეტული ენათმეცნიერების ნაშრომებში.

არსებული ფონეტიკური კურსებისაგან განსხვავებით, სადაც ცენტრალური ადგილი ტრადიციულად უჭირავს მოცემული ენის ბგერებსა და ფონემებს,

კოგნიტიური მიდგომა ფონეტიკური მოვლენების შესწავლისადმი გულისხმობს მეტყველების ონტოლოგიის გათვალისწინებას; რაც ნებისმიერი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს და ყველაზე ზოგადი სახით შეიძლება გამოიხატოს როგორც „ხმა - ხმის არარსებობა“.

„ხმაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ბგერას (ან ბგერებს), რომლებსაც გამოსცემენ ადამიანები ურთიერთობის პროცესში ბუნებრივი ადამიანური ენის საშუალებით. ამასთან ზედმიწევნით ფონეტიკური განმარტება ტერმინისა „ხმა“, როგორც „სახმო იოგების რხევისა ამოსუნთქული ჰაერის ნაკადის დაწოლის შედეგად“. ჩვენთვის მეორეხარისხოვანია და მეტყველებამცოდნეობის პოზიციებიდან განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ხუთ პარამეტრს: ხმამაღლობა, ტემპი, ტონის მოძრაობა, რიტმი და ტემპი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დაწვრილებით. ხმამაღლობაში ჩვენ ვგულისხმობთ მოლაპარაკის უნარს გამოსცეს ისეთი ხმა, რომელიც კარგად ისმის, სასიამოვნოა სმენისთვის და ადვილად აღიქმება იმ აუდიტორიის მიერ, რომლისკენაცაა მიმართული სიტყვა. მას მოსდევს ტემპი, ანუ მოლაპარაკის მიერ შეგნებულად რეგულირებადი წარმოთქმის სიჩქარე. ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის ხმის მისაღებობის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ხმამაღლობისა და ტემპის თვალსაზრისით მეტყველების საერთო გარკვეულობა, სიტყვებისა და მარცვლების არტიკულაცის გარკვეული და მკაფიო არტიკულაცია გამონათქვამში მკაცრი შესაბამისობით ჩვენ მიერ შერჩეულ „ნიმუშ-მიზანთან“ (target), ანდა ლიტერატურული წარმოთქმის კონკრეტულ სახესხვაობასთან, რომელიც ჩვენ მიერ საფუძვლად არის მიჩნეული და რომლის მიბაძვასაც ვცდილობთ. ეს არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ჩვენთვის ხმამაღლობის და ტემპის სიდიდეების ზუსტი გაზომვის (დეციბელებში ან წუთში წარმოთქმული სიტყვების) საკითხს. ჩვენთვის მნიშვნელოვანის ვისწავლოთ ჩვენი ხმის მართვა, მისი მისადაგება ფილოლოგიური სპეციალობის საჭიროებებთან, შედნებულად „გადავრთოთ“ ხმამაღლობისა და ტემპის ხარისხი ინტელექტური ურთიერთობის პირობების შესაბამისად.

ხმის შემდეგ (ხმამაღლობისა და ტემპის კვალდაკვალ) აუცილებელ მდგენელს წარმოადგენს ტონის მოძრაობა. სხვა სიტყვებით ესაა მოლაპარაკის უნარი შეიცვალოს ხმა ინგლისური ენის ძირითადი ინტონაციური კონტურის (Descending scale) - მაღალი თანაბარი ტონიდან დაღმავალი სკალის დასაწყისში ფინალური დასრულების (დაბალი დაღმავალი ტონის) ტონამდე წარმოთქმის დასასრულს.

ასე რომ ხმის სიმაღლე, ტონის ტემპი და მოძრაობა წარმოადგენენ ხმის ძირითად პროსოდიულ მდგენელს, რომლებიც თავიდანვე ერთვებიან სწავლების პროცესში და ექვემდებარებიან ათვისებას ინგლისური საარტიკულაციო ბაზის განსაკუთრებით არსებით თავისებურებებთან ერთად. ამასთან სწორედ მარცვალი წარმოგვიდგება სამეტყველო ჯაჭვის ცენტრალურ ერთეულად, რომელიც ინგლისური ენის სეგმენტური და ზესეგმენტური მახასიათებლების გაერთიანების საშუალებას იძლევა და განაპირობებს მის რიტმულ თავისებურებას.

აქედან გამომდინარე, მეტყველების ტონის, ხმამაღლობისა და ტემპის შეცვლა გამოიხატება თანაბარი და არათანაბარი ტონების მახვილის სხვადასხვა ხარისხებისა და აგრეთვე წარმოთქმის ხანგრძლივობის გადიდების ან შემცირების დიქოტომიის სახით. მათი დაკავშირების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მთელი გამონათქვამის რიტმი - ის გახდეს უფრო სასიამოვნო, თანაბარი, (legato) ან ნაწყვეტ-ნაწყვეტი (staccato), რაც თავის მხრივ იწვევს მახვილიანი მარცვლების რეგულარობის ეფექტის

შესუსტებას ან გაძლიერებას და ახდენს გავლენას ინგლისური მეტყველების ძირითადი რიტმული თანმიმდევრობების ფორმირებაზე. ასე რომ, რიტმი წარმოადგენს ხმის მეორე მდგენელს, რომელიც გულისხმობს მოსაუბრის შეგნებულ მისწრაფებას გამონათქვამის რიტმული დაბალანსების, მისი მარტივი და რთული რიტმული ჯგუფების ერთ-ერთ დამოკიდებულებისა და მდებარეობის მიხედვით.

ინგლისური მარცვალი წარმოითქმება უფრო ენერგიულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უფრო მკაფიოდაა შემოფარგლული და ცხადად აღნიშნული მეტყველებაში. ყოველი მარცვალი (მიუხედავად იმისა, ძლიერია თუ სუსტი, მახვილიანია თუ უმახვილო) ბევრად დამოუკიდებელია და აქვს მეტყველებაში გამოყოფის უნარი,

ნათქვამის დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე სხვადასხვა ენების ხმოვანი ჯაჭვების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგები, რომლებმაც ნათელყვეს „თანხმოვნების გაძლიერების“ პრინციპი, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს აგრეთვე „გერმანიკული მარცვლის სპეციფიკურ ავტონომიურ სტრუქტურას“. საინტერესოა, რომ თანხმოვანთა გაძლიერების ამოსავალ წინაპირობად ითვლება სწორედ ძლიერი მახვილი, რომელიც განაპირობებს უმახვილო ხმოვნების რედუქციას.

ცალკეული მარცვლები ხასიათდებიან უჩვეულო გამორჩეულობის ხარისხით და ემსახურებიან გამონათქვამის განსაკუთრებული მეტასემიოტიკური შინაარსის გადმოცემას. ორატორულ და, განსაკუთრებით, მეტყველების მხატვრულ-ბელეტრისტიკულ სტილებში, რომლებიც, როგორც ცნობილია, გამოირჩევიან „პარადოქსული“ (ან ფიქტიური) ტემბრის გამოყენებით და რომლებშიც ხმის მოდულაციები გამოიყენება სხვადასხვა ექსპრესიულ-ემოციურ-შემფასებლური ობერტონების გადმოსაცემად, მარცვალთა დაყოფის შესაძლებლობები განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი - ცალკეული მარცვლები შეიძლება გადაიქცნენ ზეხანგრძლივებად ან „ზეძლიერებად“ სიტყვის წარმომთქმელი პირის ინტენციიდან გამომდინარე. ხოლო რაც შეეხება ინტელექტურ ურთიერთობას, სადაც ჭარბობს „სერიოზული“ (ან „ფაქტიური“) ტემბრი, აქ ინგლისურ მარცვალდაყოფაზე დაფუძნებული ტემბრალური მოდიფიკაციები გაცილებით უფრო მოწესრიგებულია და განპირობებული არიან თანამედროვე წარმოთქმის თავისებურებებით, როგორც ეს არის წარმოდგენილი ბიბისი-ს პროფესიონალი დიქტორებისა და აგრეთვე ჩვენი დროის საჯარო გამოცდილების მქონე კარგად ცნობილი, დიდი ავტორიტეტის მქონე ორატორების მეტყველებაში.

ამგვარად, ჩვენ ისევ ვუბრუნდებით ნიმუში-მიზნის (target), პრინციპულ როლს ან ინგლისური ენის იმ სახესხვაობას, რომლის მიბაძვასაც ვცდილობთ, ვეყრდნობით რა ისეთი ცალკეული მარცვლების ლინგვისტურ რეალობას, რომლებიც ბუნებრივად აღიქმებიან და ადვილად აღდგებიან „სმენით“, ტონის ამაღლების ან დადაბლების, წარმოთქმის გაძლიერების ან ხანგრძლივობის შემცირების შესაბამისად.

თუმცა, როგორც დამაჯერებლად გვიჩვენებს მთელი რიგი სპეციალური კვლევებისა ამ სფეროში, მეტყველების გაშლილი ნაწარმოების შემადგენლობაში პაუზა ქმნის რა ხმის განუყოფელ ერთიანობას მის საწინააღმდეგო მოვლენასთან გამოდის რა ბოლო და საწყისი მარცვლების შესაყარზე, ის აუცილებლად აღმოჩნდება ჩართული სამეტყველო ჯაჭვის უკვე წარმოთქმული ელემენტის „შეჩერებისას“ და ჯერ კიდევ წარმოსათქმელი ელემენტის „დასწრების“ პროცესში. ასე რომ წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით პაუზაციის მოვლენა ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული მარცვალთა დაყოფასთან და პაუზის რეალიზება ხორციელდება წინა

და მომდევნო მარცვლების წარმოთქმის, მათი ტონისა და ხანგრძლივობის შეცვლის ფონზე.

უნდა შევნიშნოთ ასევე, რომ ინგლისურ მარცვალს, როგორც ცნობილია, ყოველთვის არ ახლავს ხმა და ისევე, როგორც პაუზას, შეიძლება ახასიათებდეს ფონაციის არარსებობა. ცნობილია, მაგალითად, ინგლისური სიტყვის "thank you" სპეციფიკური წარმოთქმა, სადაც პირველი მახვილიანი მარცვალი პრაქტიკულად უხმოა, რაც მარცვალთა ბიძგის ეფექტს ქმნის. ყურადღებას იქცევს ის, რომ მეტყველების ორგანოების მდგომარეობა ამ მომენტში ტიპურია მთლიანად ინგლისური საარტიკულაციო წყობისათვის და შეესაბამება საშუალო სიმაღლის შერეული რიგის ნეიტრალური ხმოვნის არტიკულაციას.

იგივე ხდება ინგლისური მეტყველებისთვის ძალიან დამახასიათებელი უმახვილო მარცვლების „აბსოლუტური რედუქციის" შემთხვევაში, რომელსაც ახლავს ეგრეთ წოდებული „მაკომპენსირებელი ფონაცია", ანდა ისეთი მეზობელი ბგერების გახანგრძლივება, როგორებიცაა სონანტები ან ნაპრალოვნები, რომელიც მეტყველებაში მარცვლის შემცველად გვევლინება.

პაუზაცია, რომელიც გვესმის როგორც მოსაუბრის უნარი ენის ცოდნით და მოხერხებულად შეწყვიტოს ფონაცია, ასევე ბევრად არის განპირობებული ინგლისური მარცვალთდაყოფის პრობლემებით. ესენი ჩვენ მიერ განიხილებიან როგორც მეტყველებამცოდნეობის პრობლემა, რის გამოც ძირითად პარამეტრებს წარმოადგენენ ტონის მოძრაობა, წარმოთქმის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მელოდიური მრუდის მკვეთრი ცვლილება, ტონის „ნახტომისებრი" მოძრაობისკენ სხვადასხვა მიმართულებით (როგორც უეცარი ამაღლების, ისევე მოულოდნელი დადაბლების მხარეს) წარმოადგენს სწორედ ბრიტანული ინგლისური წარმოთქმის განსხვავებულ ნიშანს „ამერიკული ინგლისურისაგან".

ზემონათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ ტონის მოძრაობა წარმოადგენს მეტყველების ნაკადში მარცვლების გამოყოფის ძირითად და ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ამ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურაში ვპოულობთ ამ დებულების მხარდამჭერ არაერთ დამოწმებას. თუ განსხვავებები წარმოთქმის ინტენსიურობასა და ხანგრძლივობაში საკმაოდ შეზღუდულია და შეიძლება განიხილებოდეს „ერთიანი გაზომვის" ფარგლებში, სახელდობრ კი მათი მარტივი გადიდების ან შემცირების საფუძველზე, ტონის მოძრაობის შეცვლა მრავალპლანიანია და მეტყველებაში სხვადასხვაგვარ ფორმებს იძენს.

გარდა ამისა ტონის მოძრაობა გაცილებით ნაკლებად, ვიდრე ინტენსიურობა და ხანგრძლივობა, ექვემდებარება გარეშე (ექსტრალინგვისტურ) ფაქტორებს. ასე, მაგალითად, თუკი წარმოთქმის ხმამაღლობა (ან ინტენსიურობა) შეიძლება ვარირებდეს დაბრკოლებების ან მანძილის ზეგავლენით, ხოლო ხანგრძლივობის ცვლილებები შეიძლება მოსაუბრის ჯანმრთელობით იყოს გამოწვეული - მისი დაღლილობით ან დაუძლურებით, ტონის მოძრაობაზე ეს პრაქტიკულად არავითარ ზეგავლენას არ ახდენს. ტონის მოძრაობის შეცვლა (როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს) გაცილებით ადვილად აღიქმება სმენით, ვიდრე მეტყველებაში მუდმივად მიმდინარე ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის ცვლილებები.

ინტენსიურობა (ან ხმის სიმაღლე) სმენით აღქმაში ახასიათებს მარცვლისმიერი მახვილის სხვადასხვა ხარისხებს, რის ზეგავლენითაც განასხვავებენ „სრულმახვილიან" მარცვლებს, რომლებზეც მოდის მთავარი ან გამაერთიანებელი მახვილი, „ნახევრად - ან ნაწილობრივ მახვილიან" მარცვლებს ძლიერი ან სუსტი

მეორეხარისხოვანი მახვილით, და აგრეთვე სრულიად უმახვილო მარცვლების სხვა ფიზიკური პირობების ერთნაირობისას უფრო მახვილიანად აღიქმება ყველაზე დიდი ინტენსიურობის მქონე მარცვალი.

ზემოთაღნიშნულს აუცილებლად უნდა დავუმატოთ, რომ ინტენსიურობა, როგორც წესი, გულისხმობს აგრეთვე მარცვლის არტიკულაციური დაძაბულობის გარკვეულ ხარისხს, ანდა (უფრო ფართოდ) შეესაბამება მეტყველებაწარმოებაში მონაწილე კუნთების ამა თუ იმ ხარისხის ზოგად დაძაბულობას. მახვილიან მარცვალს ახასიათებს სიმკვეთრის, გარკვეულობისა და სიცხადის ბევრად მაღალი ხარისხი, ვიდრე უმახვილო მარცვალს, რაც გამოიხატება მისი შემადგენელი ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების სრულად და გულდასმით (არარედუცირებულ) წრმოთქმაში.

ასე რომ მარცვლების ინტენსიურობა და ხანგრძლივობა მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევების მონაცემები მოწმობენ, რომ ინგლისურ ენაში სრულმახვილიანი მარცვალი (ანდა მარცვალი, რომელიც ხასიათდება უმაღლესი ფიზიკური ინტენსიურობით) საშუალოდ 50 %-ით აღემატება ხანგრძლივობით უმახვილო მარცვალს. ამასთან გამონათქვალის ტემპის ზოგადი შეცვლა ძირითადად ხდება უმახვილო ხმოვნების ხანგრძლივობის ხარჯზე, მაშინ როდესაც მახვილიანი მარცვლების რაოდენობრივი მახასიათებლები გაცილებით ნაკლებად არსებითია.

ცნობილია, რომ მარცვალთა რიგები (ან თანმიმდევრობა) ინგლისური მეტყველების ნაწარმოებში ყოველთვის ფორმდება „ხანგრძლივობის გადანაწილების“ კანონების (the Borrowing Rule) შესაბამისად. ამ წესის თანახმად ხანგრძლივი მარცვალი მის წარმოთქმაზე დახარჯული დროის ნაწილს უზიარებს მის მომდევნო მოკლე მარცვალს და პირიქით თუკი გრძელ მარცვალს მოსდევს პაუზა ან სხვა გრძელი მარცვალი, მისი ჟღერადობის რაოდენობა და დრო იზრდება.

ამ სტატიაში მახვილი ნიშნავს ერთი და რამოდენიმე მარცვლის გამოყოფას სიტყვის ან სიტყვაშეთანხმების შემადგენლობაში ამა თუ იმ ფონეტიკური საშუალებებით, კერძოდ კი: მელოდიური მრუდის მკვეთრი ცვლილებით, წარმოთქმის ინტენსიურობის ან/და ხანგრძლივობის გაზრდით.

მნიშვნელოვანია მოცემული საკუთრივ ფონეტიკური მოვლენის ორი მხარის გარჩევა. ერთი მათგანი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მარცვლისმიერი მახვილი“, მიმართულია მახვილისეული მოვლენის ონტოლოგიური არსისაკენ (იმისაკენ, რომ ის არსებობს მარცვალში და მარცვლის საშუალებით). ის წარმოდგენილია მთავარი მახვილის, ძლიერი მეორეხარისხოვანი მახვილის, სუსტი მეორეხარისხოვანი მახვილისა და სრულიად უმახვილო მარცვლის ოპოზიციით. ამ მოვლენის მეორე მხარე, ეგრეთ წოდებული „სიტყვიერი მახვილი“ ემსახურება ფუნქციურ კვლევას. ის აგებს პასუხს იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს მოცემული მოვლენა, რის სიმბოლიზებას ახდენს, ანდა რას იუწყება ურთიერთობის პროცესში.

სიტყვიერი მახვილის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მარცვლები მიუხედავად იმისა, თავდაპირველად ძლიერები არიან თუ სუსტები, ატარებენ თუ არა მთავარ სიტყვიერ მახვილს, შეიძლება ფუნქციონირებდნენ კონტრასტულად და გადმოსცემდნენ ისეთ შინაარსს, რომლის გადმოცემა სხვა საშუალებებით შეუძლებელია. ამგვარად, თითოეულ მოსაუბრეს, თუკი მას საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს მარცვლის ბუნების შესახებ შეუძლია (ფაქტობრივად თავისი სურვილით) გამოყოს ნებისმიერი მარცვალი სიტყვის ან სიტყვათა შეთანხმების შემადგენლობაში, ძირითადი მარცვლისეული პარამეტრების თავისუფლად ვარირების გზით. ამგვარი კონტრასტები წარმოადგენენ პიროვნებათაშორისი

ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ აგრეთვე ფონესტემიკისა და პარონიმული ატრაქციის ცნებები, ვინაიდან მათზე ბევრად არის დამოკიდებული ფუნქციურ-კომუნიკაციური მარცვალთა დაყოფის პრობლემების გაგება. ფონესტემიკა აღნიშნავს ზოგად სწავლებას ფონესტემის როგორც ბგერების განმეორებად შეთავსების შესახებ, რომელიც მორფემის მსგავსია იმ აზრით, რომ მასთან მეტად თუ ნაკლებად ასოცირდება ნათლად ერთგვარი შინაარსი ან მნიშვნელობა, თუმცა მორფემისაგან განსხვავებული სიტყვიერი ფორმის დანარჩენი ნაწილის მორფოლოგიზების სრული არაარსებობით. ფონესტემიკა წარმოადგენს ნაწილს პარონიმული ატრაქციის, ანდა მეტყველების თავისებური მოვლენისა, რომელიც მდგომარეობს ჟღერადობითი ნაწილობრივ მსგავსი სიტყვების განზრახ დაახლოებაში. პარონიმიკა დაკავებულია ანალიზით ნებისმიერი ხმოვანი მასალისა, რომელიც გამოიყენება გარკვეული მიზნით, მორფოლოგიური ანალიზის მკაცრი წესების გათვალისწინების გარეშე. ასეთი მასალა პრაქტიკულად უკვე ამოვარდნილია ენის ერთეულების სისტემიდან და სემიოლოგიის სფეროშია გადასული.

არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ასევე ინტელექტური ურთიერთობის სხვადასხვა სახეობებში ფონესტემური და მორფოლოგიური გამეორებები სიტყვის შემადგენლობაში ნათლად აღიქმება პირველ რიგში შესაბამისი მარცვლების გამოყოფის გზით. ეს მარცვლები წარმოადგენენ სიტყვიერი ურთიერთობის ისეთ აბსოლუტურ რეალობას, რომ შესაძლებელი ხდება თავი ავარიდოთ ფონესტემათა ენობრივ მნიშვნელობას და მორფოლოგიური დაყოფის რაიმე წესებს და „ვითამაშოთ“ სემანტიკურად შეუთავსებელი და დაუშლელი ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვებით. ინგლისურ ენაში ამ წესების არსი დაიყვანება ერთ ყველაზე არსებით მომენტამდე, კერძოდ კი თანხმოვნების წინა ხმოვანთან მიერთების ძლიერ ტიპამდე, ანუ მარცვალთა დახურულობამდე.

ცხადია, რომ ამგვარი ახსნის საფუძველს წარმოადგენს ჩვენი სწრაფვა მარცვალთა დაყოფის ინგლისური ენის სისტემის უფრო წარმატებულ და პროდუქტიულ სწავლებისაკენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია უპირატესი ტენდენციის გამოვლენა, ყურადღების კონცენტრირება ინგლისური წარმოთქმის ყველაზე არსებით მომენტებზე. ამიტომ საკითხს მარცვალთა დაყოფის ზუსტი ადგილის დადგენის შესახებ (ინტერვოკალური თანხმოვნის გარეთ ანდა სადღაც მის ფარგლებში) ჩვენთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე ვერ პოულობს საბოლოო პასუხს შეკითხვაზე მახვილის გადასვლის სტრუქტურის შესახებ „ძლიერი გადახრით“ მომდევნო თანხმოვნისაკენ.

ასე რომ, მეცნიერთა მთელი რიგი იხრება იქითკენ, რომ აღიაროს მარცვალთა დაყოფის უნარი გაიაროს ერთი თანხმოვანი ფონემის შიგნით, „მისი ფონური რელიზაციის საწყის და ბოლო ფაზებს შორის“. ფონემათა განუყოფლობის მომხრენი კი პირიქით, თვლიან, რომ მიერთება წარმოადგენს მხოლოდ ხმოვანი ფონემის თვისებას და ამიტომ პირველი მარცვალი რჩება ღია. გვხვდება აგრეთვე მეტისმეტად საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელიც მდგომარეობს საზღვრის დადგენაში მხოლოდ ერთ ინტერვოკალურ თანხმოვანსა და მომდევნო ხმოვან ფონემას შორის. მიზეზად ესოდენ ძლიერი განსხვავებისა თვლიან მარცვლისა და მარცვალთა დაყოფის დღეს არსებული კონცეფციების ძლიერ დაშორებას. აქედან გამომდინარეობს გამოყენება ზოგიერთი ისეთ ხშირად გამოყენებადი ტერმინებისა, როგორიცაა, მაგალითად, „მიერთება“ არაერთი მნიშვნელობით. საერთოდ დასავლეთ-გერმანიკულ ენებში და კერძოდ, სტანდარტულ (ან ნორმატიულ)

ბრიტანულ ინგლისურ წარმოთქმაში, მიერთება მხოლოდ ძლიერია ხოლმე.

მიუხედავად სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სამეტყველო აპარატის ერთნაირი მოწყობილობისა, მათი ფონეტიკური მსოფლმხედველობა შეიძლება სრულად განსხვავებული იყოს. ის განისაზღვრება თითოეული ერისთვის დამახასიათებელი ჩვევით ისარგებლოს საკუთარი ხმოვანი აპარატით. მაგალითად, ინგლისელებისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა ენერგიული არტიკულაცია და ესპირატორული (ამოსუნთქვითი) ენერგიის თანდათანობითი განვითარება. ამის შედეგად სიტყვებისა და წინადადებების დაბოლოებები ყოველთვის უფრო მახვილიანებია, ვიდრე ქართულ ენაში, ამიტომ ამას განსაკუთრებული ყურადღება უპირველეს ყოვლისა ფონეტიკის მასწავლებელმა უნდა მიქციოს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა პოზიციას, რომლებიც აუცილებლად თვლიან ინგლისური ენის დანაწევრების ორი განსხვავებული მხარის ერთმანეთისაგან განცალკავებას. ერთი მხრივ, ეს არის „მეტყველების სეგმენტაცია“, რომლის დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარცვალთა ერთმანეთს შორის თანხვედრის შესაძლო ენობრივი კრიტერიუმების განსაზღვრას და მეორე მხრივ, ხორციელდება კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი მარცვალთა დაყოფა.

ლიტერატურა:

1. A.C. Gimson., Alan Cruttemlend. (2001). Gimson's pronunciation of English. Arnold.
2. Edmund Gussmann. (2022). Phonology: Analysis and Theory.
3. Gudish Beck and Lars Konieczny. (2023). What a difference a syllable makes – Rhythmic reading of poetry. United States.
4. Introduction to English Phonetics and Phonology. English syllable structure. (2011). Cambridge university press.
5. Jette J. Hansen Edward., (2023). English Syllable structure. The Sounds of English around the world. Cambridge University press.
6. San Duanmu. (2009). Syllable Structure: The Limits of Variation. Oxford. Linguistics. Oxford University press.

Syllabification as a Challenge in Speech Studies

Shelia Madona
Sokhumi State University, Tbilisi

Abstract

The study of lexical stress demonstrates that syllables, irrespective of whether they are initially strong or weak, and whether they bear primary stress or not, may function contrastively, conveying nuances of meaning that cannot be expressed through other linguistic means. Consequently, any speaker who possesses a sufficiently clear understanding of the nature of the syllable can distinguish any syllable within a word or phrase by freely manipulating the relative values of the principal syllabic parameters. The material shows that these contrasts play an important role in interpersonal communication.

Both in literary discourse and in various forms of intellectual communication, phonesthemic and morphological repetitions within words are clearly perceived primarily through the emphasis of the corresponding syllables. These syllables form such an indispensable reality of

spoken interaction that speakers may abstract away from the linguistic significance of phonesthemes or from established rules of morphological segmentation, thereby "playing" with phonetically similar yet semantically incompatible and indivisible words. In English, the essence of these principles is reduced to a single, most significant feature: the strong attachment of a consonant to the preceding vowel, resulting in the prevalence of closed syllables.

It is obvious that our aim is to improve the effectiveness and productivity of teaching the system of English syllabification. It is important for us to identify the dominant tendencies and concentrate on the most essential aspects of English pronunciation. Therefore, the question of establishing the exact location of syllable division is of secondary importance to us.

Key words: *Syllable, stress, speech, rhythm, tone, pronunciation*